ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 170

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისში, 16 ივნისი, 2022 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, წარმოდგენილი ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის გიორგი მუმლაძის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „I GPS ოპერატორი“, წარმოდგენილი დირექტორის დავით მუმლაძის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის; N6000645722 და N6000665922 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„შემსყიდველმა“ „მიმწოდებლისგან“ მიიღო წინადადება კლასიფიკატორის (CPV) კოდით 63712710 - საგზაო მოძრაობის მონიტორინგის მომსახურებები - გათვალისწინებული, ავტოსატრანსპორტო საშუალებების სატელიტური მეთვალყურეობის სისტემის საგზაო მოძრაობის მონიტორინგის მომსახურების გაწევაზე, საერთო თანხით 700 (შვიდასი) ლარი დღგ-ს გათვალისწინებით (შემდგომში - „ხელშეკრულების ღირებულება”).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველს გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადაში და ფორმით.
4. დაფინანსების წყარო - 2022 წლის საკუთარი სახსრები.
5. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
6. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2023 წლის 31 იანვრისა.
7. ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი N1 - ფასების ცხრილი და დანართი N2- ავტომობილების ჩამონათვალი, რაც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოველ ნაწილს.
8. ხელშეკრულება შედგენილია 6 გვერდზე და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ;

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	**„მიმწოდებელი"**
ს.ს.ი.პ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №84 ტელ: (995 32) 2 25 84 84 ელ.ფოსტა: info@expertiza.gov.ge მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში კოდი: TRESGE22 სახაზინო კოდი: 707767126 ს/კ 204852089	შპს „I GPS ოპერატორი“ მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №29/31/33 ტელ: (995 2 55 56 56) ელ.ფოსტა: info@geogps.ge ს.ს „თი ბი სი ბანკი “ ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE16TB7050436080100002 ს/კ 404920289
ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი **გიორგი მუმლაძე**	დირექტორი **დავით მუმლაძე**
Giorgi Mumladze Digitally signed by Giorgi Mumladze Date: 2022.06.16 13:38:28 +04'00'	I GPS OPERATOR LTD Digitally signed by I GPS OPERATOR LTD Date: 2022.06.16 12:34:54 +04'00'

ხელშეკრულების საერთო პირობები

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 **"ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ"** (შემდგომ - „ხელშეკრულება") - გამარტივებული შესყიდვის შედეგად დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 **"ხელშეკრულების ღირებულება"** ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 **"შემსყიდველი ორგანიზაცია"** (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 **"მიმწოდებელი"** ნიშნავს პირს, რომელიც გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5 **"დღე", "კვირა", "თვე"** ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს აღიარებულ სტანდარტებს და ნორმებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ინსპექტირების გზით განახორციელებს ბიუროს ეკონომიკური დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი პაპუნა აბულაძე ან/და ლოჯისტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი - მინდია გელაშვილი.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება სატელეფონო შეტყობინების მიღებისთანავე, მაგრამ, ობიექტური გარემოებების არსებობის შემთვევაში, არაუგვიანეს 24 საათისა.

3.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

4.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 მიმწოდებელმა მომსახურების გაწევა უნდა უზრუნველყოს მიმწოდებლის საკუთრებაში არსებული GPS - მოწყობილობების გამოყენებით;

4.3 მიმწოდებელმა მომსახურების განხორციელებისას უნდა უზრუნველყოს:

ა) სისტემის მუშაობა ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში (24/7);

ბ) სისტემის საშუალებით სატრანსპორტო საშუალების მონიტორინგი "ონლაინ" რეჟიმში ვებ სერვერის საშუალებით. მონიტორინგის სისტემაში წვდომა შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერი კომპიუტერიდან მხოლოდ შესაბამისი პაროლისა და მომხმარებლის სახელის გამოყენებით;

გ) სამი სახის მუდმივი განახლებადი ელექტრონული რუკები;

დ) შემსყიდველის მიერ მითითებული ობიექტების ციფრულ რუკაზე დატანა. ინდივიდუალური სქემატური ნახაზის შექმნა;

ე) სტატისტიკური მონაცემების ექსპორტი Excel-ის ფორმატში;

ვ) შემსყიდველისთვის ავტომანქანების მდებარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება დამონტაჟებული მოწყობილობით „ონლაინ" (რომელიც აჩვენებს სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ზუსტ დროსა და ადგილს, გარბენილ მანძილს ცდომილების გარეშე) რეჟიმში, ასევე ავტომანქანების გადაადგილების ისტორიის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. უზრუნველყოს ოდომეტრის მაჩვენებლის ნულიდან მიწოდება ყოველდღიურად.

ზ) სისტემის გამართული მუშაობა, რაც შემსყიდველს შესაძლებლობას მისცემს აღმოაჩინოს ავტომანქანა;

თ) თითოეული ავტომანქანის მიერ დროის სხვადასხვა მონაკვეთში განვლილი მანძილის, სიჩქარის, გაჩერების, დგომის დროის, მარშრუტის შესახებ ინფორმაციის სერვერზე განთავსება. ასევე ყოველი ავტომანქანის გადაადგილების ტრაექტორიის უწყვეტი ჩვენების ასახვა;

ი) ავტომანქანების მონიტორინგი სპეციალური კოდით ინტერნეტის მეშვეობით ნებისმიერი ადგილიდან;

კ) სერვერზე ავტომანქანების ისტორიის განთავსება განვლილი მანძილის, დგომის და მოძრაობის დროის, სიჩქარის და ა.შ. შესახებ. რამოდენიმე ავტომანქანის მოძრაობის ისტორიის ერთდროულად ზუსტი დროით ჩვენება ცდომილების გარეშე;
ლ) კონფიდენციალობა - მხოლოდ სპეციალური კოდით ინტერნეტის მეშვეობით;
მ) გარბენილ მანძილზე საწვავის ხარჯვის მონაცემების ჩვენება.
ნ) ავტომანქანებზე არსებული ყველა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - არანაკლებ 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში.
ო) სატელეფონო შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას ხარვეზი ან/და დაზიანებები;
პ) მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მითითების შესაბამისად, უსასყიდლოდ მოახდინოს GPS მოწყობილობის გადაადგილება ერთი სატრანსპორტო საშუალებიდან მეორეზე - ულიმიტოდ.
ჟ) მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის წერილობითი მიმართვიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში GPS - მოწყობილობების დამონტაჟება და მომსახურების გააქტიურება;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
5.1 ყოველი საანგარიშო თვის დასრულებისას მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი გაწეული მომსახურების შესახებ, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები;
5.2 გაწეული მომსახურების მიღებას შემსყიდველის მხრიდან აწარმოებს ეკონომიკური დეპარტამენტის ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი პაპუნა აბულაძე ან/და ლოჯისტიკის სამმრთველოს მთავარი სპეციალისტი - ავთანდილ წივწივაძე.

6. გარანტია
6.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს მაღალი ხარისხის მომსახურება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს;
6.2 მიმწოდებელი თავისუფლდება 3.2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, თუ ხარვეზის წარმოქმნა გამოწვეული იქნება შემსყიდველის მიზეზით.

7. ანგარიშსწორება
7.1 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო (გადარიცხვა);
7.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად (ყოველთვიურად) ფაქტიურად (იმ სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის შესაბამისად, რომლებზეც დამონტაჟებული იქნება GPS-მოწყობილობები) გაწეული მომსახურების მიხედვით, მომსახურების გაწევის შემდეგ, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე მიმწოდებლის მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან და ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ინსპექტირებისთვის საჭირო ვადები არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოწოდებული საქონელი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას.

8. ანგარიშსწორების ვალუტა
ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეროვნულ ვალუტა - ლარში.

9. ფასები
9.1 ერთეულის მიხედვით ხელშეკრულების ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1 - ფასების ცხრილი;
9.2 შესაბამისი თვის ღირებულება დაანგარიშებული იქნება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, კერძოდ, შესაბამისი თვის ღირებულება გაიყოფა საანგარიშო თვის დღეების რაოდენობაზე და მიღებული ერთი დღის ღირებულება გადამრავლდება მომსახურების დაწყების დღიდან თვის ბოლო რიცხვის ჩათვლით არსებულ დღეთა რაოდენობაზე;

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
10.5 ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის ახალი ხელშეკრულებით წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა
მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები სხვა პირს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე;
12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1 წინამდებარე ხელშეკრულების 3.2 ან 4.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო გაუწეველი მომსახურების 0.05%-ის ოდენობით, რომლის დაქვითვაც მოხდება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან;
13.2 წინამდებარე ხელშეკრულების პრეამბულის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო გაუწეველი მომსახურების 0.05%-ის ოდენობით, რომლის დაქვითვაც მოხდება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან;
13.3 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 მუხლით განსაზღვრული ვადების დარღვევისათვის შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადასახდელი თანხის 0.05%-ის ოდენობით;
13.4 იმ შემთხვევაში, თუ მე-13 მუხლის 13.1; 13.2 ან 13.3 პუნქტებით განსაზღვრული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა აღემატება ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო
14.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს შემსყიდველს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის მიმართ გადახდისუუნარობის შე შემთხვევაში;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.4 წინამდებარე ხელშეკრულების 14.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი;

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან;

16. სადავო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ წინამდებარე ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ წარმოქმნილი ყველა უთანხმოება და დავა;

16.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. შეტყობინება

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან/და ელექტრონული ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე;

17.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

18. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

დანართი N1

N	მომსახურების დასახელება	მომსახურების ძირითადი მახასიათებლები	1 ერთეული ავტომობილის მომსახურების ღირებულება ერთი თვის მანძილზე (დღგ-ს ჩათვლით)	10 ერთეული ავტომობილის მომსახურების ღირებულება ერთი თვის მანძილზე (დღგ-ს ჩათვლით)	მომსახურების ჯამური ღირებულება 7 თვის მანძილზე (დღგ-ს ჩათვლით)
1	სატელიტური მეთვალყურეობის სისტემის საგზაო მოძრაობის მონიტორინგის მომსახურება	GPS მოწყობილობის პროგრამული უზრუნველყოფა	10	100	700

დანართი N2

ავტომობილების ჩამონათვალი					
N	მწარმოებელი კომპანია	მოდელი	გამოშვების წელი	VIN კოდი	სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი
	1	2	3	4	5
1	RENAULT	Sandero	2022	VF15SRKL469138224	FS-560-SS
2	RENAULT	Sandero	2022	VF15SRKL469137193	FS-561-SS
3	RENAULT	Sandero	2022	VF15SRKL469138181	FS-562-SS
4	RENAULT	Sandero	2022	VF15SRKL469138177	FS-563-SS
5	RENAULT	Sandero	2022	VF15SRKL469137232	FS-564-SS
6	RENAULT	Sandero	2022	VF15SRKL469138212	FS-565-SS
7	RENAULT	Sandero	2022	VF15SRKL469137250	FS-566-SS
8	RENAULT	Sandero	2022	VF15SRKL469137233	FS-567-SS
9	RENAULT	Sandero	2022	VF15SRKL469138202	FS-568-SS
10	RENAULT	Sandero	2022	VF15SRKL469138192	FS-569-SS